საქართველო

25264-01-2-201906241554

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/25264
24/06/2019

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

გიგზავნით, საქართველოში შვეიცარიის საელჩოს მეშვეობით მიღებულ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოგზავნილ Aide Memoire-ს, რომლითაც რუსული მხარე მადლობას უხდის ქართულ მხარეს ლუგარის ლაბორატორიაში ვიზიტის შესაძლებლობისთვის.

რუსული მხარე, აგრეთვე მოგვმართავს თხოვნით, რომ ლაბორატორიაში ვიზიტამდე მოეწყოს ბიოლოგიური და სამედიცინო სფეროს ექპერტების შეხვედრა, ზოგიერთი დეტალის დასაზუსტებლად.

ამასთან, მოგახსენებთ, რომ ამგვარი შეხვედრის გამართვა საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის გამო, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია მხოლოდ სამმხრივი ფორმატით - შვეიცარიის მხარის მონაწილეობით.

პატივისცემით,
მალხაზ მიქელაძე

დეპარტამენტის დირექტორი
მეზობელი ქვეყნების დეპარტამენტი

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge